საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“

PMMG

პროექტი

„ხელი შეეწყოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი და სომეხი ამომრჩევლების ინფორმირებას“

საგრანტო კონკურსის თემატიკა:
ამომრჩეველთა ინფორმირება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის

პროექტი დაფინანსებულია სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

პროექტის მიზნები და ამოცანები

მიზანია: ხელი შეეწყოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, აპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი და სომეხი ამომრჩევლების ინფორმირებას.

- არჩევნების არსი, მოდელი და რეფორმით გათვალისწინებული ახლებური ხედვები: საზოგადოებრივი თვითმმართველობა ადგილობრივ დასახლებებში, მუნიპულური თვითმმართველობა და სამხარეო თვითმმართველობა; გამგებლების, მერების და საკრებულოს წევრების უფლება-მოვალეობები; მოსახლეობის ჩართულობის ფომრმები; თვითმმართველობის რეფორმის საზოგადოებრივი სიკეთე; არჩევნების გამართვის თარიღი;
- საარჩევნო პროცესში ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩართულობის მაღალი დონე, როგორც სოციალური სამართლიანობის რეალიზების უპირობო გარანტია;
- სავალალო შედეგი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ელექტორალურ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დაბალმა ხარისხმა დემოკრატიული პროცესების დაყოვნების კუთხით, ისევე როგორც ადგილობრივ თემებში ღრმად ფესვგამდგარმა ნიჰილიზმმა და საარჩევნო პროცესებში მათი მონაწილეობის ინტერესის სიმწირემ;
- ამომარჩეველთა უფლებები და მოვალეობები; საარჩევნო წესები და პროცედურები; სარჩევნო სიების სახეობები; დამკვირვებელთა როლი საარჩევნო პროცესის გამჭირვალედ წარსამართავად.

გეოგრაფიული არეალი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 6 მუნიციპალიტეტი:

- ბორჯომი
- ადიგენი
- ახალციხე
- ასპინძა
- ახალქალაქი
- ნინოწმინდა

განხორციელებული საქმიანობა

I - სატრენინგო პროგრამა

ოთხი, 2-დღიანი ტრენინგი ბაკურიანში, შერჩეული შერეული მიზნობრივი ჯგუფისთვის (სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მედია მუშაკები, პედაგოგები, სტუდენტები, ადგილობრივი სამეწარმეო სტრუქტურების წარმომადგენლები და ა.შ.). ჯამში ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 72 პირმა - ეთნიკურად ქართველმა და სომეხმა ამომრჩეველმა.

II - არჩევნებში მონაწილეობის მასტიმულირებელი სამოტივაციო ბილინგუალური პლაკატები

გამოიცა 500 პლაკატი, რომლებიც განთავსდა პროექტის მიზნორივი ოლქების მუნიციპალურ ცენტრებში (ხალხმრავალ ადგილებში), ასევე რეგიონში შემავალ სოფლებში.

III - არჩევნებში მონაწილეობის წამახელისებელი 3 სახეობის ბილინგვური (სომხურ-ქართული) **აუდიო-გზავნილი**

აუდიო-გზავნილები გავრცელდა შესაბამის მუნიციპალიტეტებიდან დედაქალაქში და ქვეყნის სხვა რეგიონალურ ცენტრებში მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებში. ვრცელდებოდა ორი კვირის განმავლობაში, ჯამში მოიცა 10-მდე სხვადასხვა მიმართულების რეისი.

სატრენინგო პროგრამა

ჯგუფი	თარიღი	გეოგრაფიული არეალი	ტრენერები	მონაწილეთა რ-ბა
I	19-20 აგვისტო, 2017 წ.	ნინოწმინდა	ალექსანდრა კალატოზიშვილი / ლაშა ტუღუში	18
II	21-22 აგვისტო, 2017 წ.	ახალქალაქი	ალექსანდრა კალატოზიშვილი / ლაშა ტუღუში	18
III	5-6 სექტემბერი, 2017 წ.	ახალციხე	დიმიტრი ცერცვაძე / ირმა ბასილაშვილი	21
IV	7-8 სექტემბერი, 2017 წ.	ადიგენი, ბორჯომი, ასპინძა და ახალციხე	ალექსანდრა კალატოზიშვილი / ლაშა ტუღუში	15
სულ				72 კაცი



დასწრების სტატისტიკა - ეთნიკურ და გენდერულ ჭრილში



45 ქალი 27 კაცი

მეთოდოლოგია და სასწავლო მოდული

დღე I:

- ტრენერთა ტრენინგი (ტრენინგის გახსნის ეტაპები, ტრენერის მახასიათებლები, ჯგუფის მართვის ტექნიკები, ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია და ა.შ.)
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების არსი და მოდელი
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მანდატი და უფლება-მოვალეობები

დღე II:

- საარჩევნო პროცესში ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩართულობის მნიშვნელობა, ხელისშემშლელი ფაქტორები და შესაძლო შედეგები
- საზოგადოებრივი ჩართულობის ფორმები და მექანიზმები
- საარჩევნო რეფორმით გათვალისწინებული სიახლეები
- საარჩევნო წესები (საარჩევნო ადმინისტრაცია, მისი კომპლექტაციის წესი, უფლება-მოვალეობები, საარჩევნო სიების ტიპები და ა.შ.)
- ამომრჩეველთა უფლებები და კენჭისყრის დღის პროცედურები
- დამკვირვებელთა როლი და უფლება-მოვალეობები

მეთოდოლოგია:

× სალექციო ნაწილი

× პრეზენტაცია

× დისკუსია

× პრაქტიკული სავარჯიშოები და ა.შ.

ბეჭდური პროდუქცია



პლაკატის და აუდიო-გზავნილების შინაარსობრივი მხარე განხილული იყო სატრენინგო სესიების დროს. მონაწილეთა დახმარებით განისაზღვრა ის თემები და ძირითადი სპეციფიური ასპექტები, რომლებიც შემდგომში აისახა პლაკატებსა და აუდიო გზავნილებში.



აუდიო-გზავნილები

3 ბილინგვური აუდიო-გზავნილი (სომხურ-ქართული) ჩაიწერა მეხსიერების ბარათსა და CD-დისკებზე და გავრცელდა პროექტის მიზნობრივი მუნიციპალიტეტებიდან დედაქალაქში და ქვეყნის სხვა რეგიონალურ ცენტრებში მოძრავ სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით.

აუდიო-გზავნილი იყო მუსიკალურად გაფორმებული. ტექსტუალური ნაწილი იმგვარად იყო შედგენილი, რომ მათ, ერთი მხრივ, ხელი შეეწყო ამომრჩეველთა ინფორმირებულობისათვის საარჩევნო წესების, პროცედურების, სისტემისა და არსის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დაერწმუნებინა ამომრჩეველი საარჩევნო პროცესში დემოკრატიული ჩართულობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაში.

სატრანსპორტო საშუალებებით აუდიო გზავნილის დემონსტრირების კომპონენტი მიზანმიმართულად იქნა შერჩეული იმდენად, რამდენადაც აღნიშნულით სარგებლობენ ადგილობრივი საზოგადოების აქტიური წევრები, რომელთაც გააჩნიათ ინფორმაციის მულტიპლიცირების ფართო შესაძლებლობები, ისევე როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გარკვეული გავლენა.

გამოწვევები

- ✓ ოპტიმალური ფორმის მოძიება, რათა სომხურენოვანი ელექტორატისთვის მიგვეწოდებინა პოლიტიკური და ელექტორალური ჩართულობის ხელშემწყობი და მამოტივირებელი გზავნილები. გამოიკვეთა კრეატიული იდეები, რომლის გამოყენებაც იგეგმება შემდგომი საარჩევნო ციკლისთვის.

შედეგები

- ✓ პროექტმა ხელი შეუწყო ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, აპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის ფართო სპექტრის ელექტორალური ინცორმირებულობის დონის ამაღლებას;

- ✓ შესაბამისად, პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის (როგორც ეთნიკურად ქართველი, ასევე სომეხი) რაოდენობრივ და ხარისხობრივ, ინფორმირებულ ჩართულობას 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში.

- ✓ პროექტის მდგრადობა: პროექტის ფარგლებში ადგილობრივ ამომრჩევლებში გავრცელებული ცოდნა იქონიებს რეპლიკაციის ეფექტს. მოსალოდნელია, რომ მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ იგი გავრცელდება სხვა პირთა შორის (ნათესავები, მეგობრები, კოლეგები და ა.შ.), რაც თავის მხრივ გააფართოებს ბენეფიციართა მოცვის არეალს და შესაბამისად უფრო მასშტაბურს გახდის საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპონენტის მისაწვდომობის დონეს. გარდა აღნიშნულისა, მიზნობირივი ჯგუფებისათვის გადაცემული ცოდნა და ინფორმაცია გამოყენებულ იქნება შემდგომი საარჩევნო ციკლებისთვისაც.

ტრენინგის შეფასება

- ✓ ტრენინგის ხანგრძლივობა იყო მისაღები (67 კაცი)
- ✓ ტრენინგმა გაამართლა მონაწილეთა უმრავლესობის მოლოდინი (66 კაცი)
- ✓ მონაწილეთა უმრავლესობის შეფასებით, ყველა შემოთავაზებული საკითხი იყო ადვილად აღქმადი და საინტერესო (49 კაცი)
- ✓ განსაკუთრებით აღინიშნა შემდეგი თემები (პრიორიტეტის მიხედვით):
  - × საარჩევნო სისტემა
  - × კენჭისყრის დღის პროცედურები
  - × ტრენინგის ჩატარების ტექნიკები
- ✓ მაღალი შეფასება მიიღო პროექტში ჩართულმა ყველა ტრენერმა
- ✓ დადებითად შეფასდა ტრენინგის მეთოდოლოგიაც (თეორიული ნაწილისა და პრაქტიკული სამუშაოს ბალანსი, ინტერაქტიულობა, თემების რელევანტურობა და ზოგადად სასწავლო გარემო)
- ✓ დადებითად შეფასდა ტრენინგის ჩატარების ადგილი, ისევე როგორც სასტუმროს მომსახურეობა და კომუნიკაცია ორგანიზატორებთან.



გმადლობთ ყურადღებისთვის!